9. ძრავას ლილვზე დაყვანილი წრფივად მოძრავი ნაწილების მქნევარა მომენტი დატვირთული ამწისთვის

$$GD_1^2 = \frac{102(G_0 + G_1) \cdot V^2}{n^2 \cdot \eta} \text{ კგმ}^2;$$

დაუტვირთავი ამწისათვის

$$GD_0^2 = \frac{102 \cdot G_0 \cdot V^2}{n^2 \cdot \eta_0} \text{ კგმ}^2;$$

10. ძრავას ლილვზე დაყვანილი ჯამური მქნევარა მომენტი დატვირთული ამწისათვის

$$\sum GD_1^2 = 1,15GD_{\text{ძრ}}^2 + GD_1^2 \text{ კგმ}^2;$$

დაუტვირთავი ამწისათვის

$$\sum GD_0^2 = 1,15GD_{\text{ძრ}}^2 + GD_0^2 \text{ კგმ}^2.$$

11. ძრავას საშუალო ამამუშავებელი მომენტი გაქანებისას

$$M_{\text{სშ}} = \frac{1560 \cdot P_6}{n_6} \text{ კგმ};$$

12. ძრავას გაქანების ხანგრძლივობა დატვირთული ამწისათვის

$$t_{s1} = \frac{\sum GD_1^2 \cdot n_6}{375(M_{\text{სშ}} - M_{\text{წ}})} \text{ წმ};$$

13. ძრავას გაქანების ხანგრძლივობა დაუტვირთავი ამწისათვის

$$t_{s2} = \frac{\sum GD_0^2 \cdot n_6}{375(M_{\text{სშ}} - M_0)} \text{ წმ};$$

14. დამუხრუჭების ხანგრძლივობა

$$t_{\text{ღ}} = \frac{V}{60 \cdot b} \text{ წმ};$$

15. დამყარებული სიჩქარით მოქრობის ხანგრძლივობა ერთ-ნაირია როგორც დატვირთული, ასევე დაუტვირთავი ამწისათვის


$$t_{\text{ღმყ}} = \frac{0,01\varepsilon \cdot T_0 - t_{s1} - t_{s2} - 2t_{\text{ღ}}}{2} \text{ წმ}.$$

16. ამწის ძრავას ეკვივალენტური მომენტი დატვირთვის დიაგრამის მიხედვით (ნახ. 3.1)

$$M_{\text{ეკვ}} = \sqrt{\frac{M_{\text{წ}}^2(t_{s1} + t_{s2}) + (M_{\text{წ}}^2 + M_0)^2 \cdot t_{\text{ღმყ}}}{0,01\varepsilon \cdot T_0}} \text{ კგ მ};$$

17. შერჩეული ძრავას ნომინალური მომენტი

$$M_6 = \frac{975 \cdot P_6}{n_6} \text{ კგმ};$$



ნახ. 3.1

18. ძრავას ეკვივალენტური მომენტი, გაანგარიშებული ჩართვის სტანდარტულ ხანგრძლივობაზე

$$M_{\text{ეკვ.სტ}} = M_{\text{ეკვ}} \sqrt{\frac{\varepsilon}{\varepsilon_{\text{სტ}}}};$$

თუ შესრულებულია პირობა

$$M_{\text{ეკვ.სტ}} < M_6,$$

ძრავა შერჩეულია სწორად.

ამწის გადაადგილების მექანიზმის საწყისი საანგარიშო მონაკვეთების რამდენიმე ვარიანტი მოყვანილია 3-2 ცხრილში.

ვარიანტი	1	2	3	4	5	6
G, ტ	10	20	30	40	50	70
V, მ/წთ	120	100	90	70	60	50
G ₀ , ტ	15	25	40	50	65	90
D, მმ	0,95	0,9	0,8	0,75	0,7	0,6
d, მმ	90	110	130	150	170	190
n, ბრ/წთ	650	600	570	520	500	400
ε, %	15	18	20	29	35	32
T ₀ , წმ	180	200	240	270	300	320
b, მ/წმ ²	0,85	0,75	0,65	0,6	0,5	0,4
K	1,3	1,4	1,5	1,6	1,7	1,8
μ	0,08	0,07	0,1	0,12	0,19	0,18
f	0,06	0,055	0,05	0,07	0,075	0,08
η	0,85	0,82	0,8	0,81	0,87	0,88
η ₀	0,77	0,78	0,75	0,76	0,8	0,81

3.3. ამწის ურიკის გადაადგილების მექანიზმის ძრავას
სიმძლავრის შერჩევა

საწყისი საანგარიშო მონაცემები:

1. ურიკის წონა - G₀ ტ;
2. ნომინალური ტვირთი - G_ნ ტ;
3. საანგარიშო სიჩქარე - V მ/წთ;
4. მოძრაობის წინაღობა სრული ტვირთით - F_ც კგ;

5. მოძრაობის წინაღობა უქმი სვლისას - F_{ც0} კგ;
6. გადაცემის მქ კოეფიციენტი სრული ტვირთით - η;
7. მქ კოეფიციენტი ურიკის გადაადგილებისას უქმი სვლით - η₀
8. გადაცემათა რიცვი - i;
9. გადასაადგილებელი ბორბლების დიამეტრი - D_ბ მ;
10. მბრუნავი ნაწილების მქნევარა მომენტი - GD₁² კგმ
11. ურიკის დგომის დრო განტვირთვისას - t₀₁ წმ;
12. ურიკის დგომის დრო დატვირთვისას - t₀₂ წმ;
13. ტვირთის გადაადგილების მანძილი - l მ;

ანგარიშის მიმდევრობა

1. ურიკის გადაადგილების დრო V სიჩქარით l მანძილზე

$$t = \frac{60 \cdot l}{V} \text{ წმ.}$$

2. საორიენტაციო ფარდობითი ჩართვის სანგრძლივობა

$$\varepsilon_1 = \frac{2t}{2t + t_{01} + t_{02}} \cdot 100\% .$$

3. სტატიკური სიმძლავრე ტვირთის გადაადგილებისას

$$P_c = \frac{F_c \cdot V}{102 \cdot \eta} \text{ კვტ.}$$

4. სტატიკური სიმძლავრე ურიკის გადაადგილებისას უქმი

სვლით

$$P_{c0} = \frac{F_{c0} \cdot V}{102 \cdot \eta_0} \text{ კვტ.}$$

5. ε_1 ჩართვის ხანგრძლივობისას ძრავას მოთხოვნილი სიმძლავრე

$$P_{ა1} = 1,3 \frac{P_c \cdot t + P_{co} \cdot t}{2t} \text{ კვტ.}$$

6. ძრავას ნომინალური სიმძლავრე, გადათვლილი ჩართვის სტანდარტულ ხანგრძლივობაზე

$$P_{ბ1} = P_{ა1} \sqrt{\frac{\varepsilon_1}{\varepsilon_{სტ}}} \text{ კვტ.}$$

7. ძრავას საორიენტაციო სიჩქარე

$$n = \frac{V \cdot i}{\pi \cdot D_k} \text{ ბრ/წთ.}$$

8. $P_{ბ1}$ სიდიდის მიხედვით შეირჩევა შესაბამისი უახლოესი სიმძლავრის ძრავა.

9. შერჩეული ძრავას ნომინალური მომენტი

$$M_c = \frac{975 \cdot P_c}{n_c} \text{ კგმ.}$$

10. დაყვანილი მქნევარა მომენტი დატვირთული ურიკისათვის

$$GD^2 = 1,3(GD_{ა6}^2 + GD_1^2) + 365000 \left(\frac{V}{60 \cdot n} \right)^2 (G_c + G_0) \text{ კგმ}^2.$$

11. დაყვანილი ინერციის მომენტი უქმი სვლისას

$$GD_0^2 = 1,3(GD_{ა6}^2 + GD_1^2) + 365000 \left(\frac{V}{60 \cdot n} \right)^2 \cdot G_0 \text{ კგმ}^2.$$

12. სტატიკური მომენტი დატვირთული ურიკის გადაადგილებისას

$$M_c = \frac{F_c \cdot D_k}{2 \cdot \eta \cdot i} \text{ კგ.მ.}$$

13. ძრავას ამუშავების მომენტის მინიმალური მნიშვნელობა

$$M_1 \approx 1,2 M_c \text{ კგ მ.}$$

14. ძრავას ამუშავების მომენტის მაქსიმალური მნიშვნელობა

$$M_2 \approx 2,8 M_c \text{ კგ მ.}$$

15. ძრავას საშუალო მომენტი ამუშავებისას

$$M_{სა} = \frac{M_1 + M_2}{2} \text{ კგ მ.}$$

(ამუშავების მომენტები დატვირთული და დაუტვირთავი ურიკისათვის მიიღება ერთმანეთის ტოლი).

16. ამუშავების დრო დატვირთული ურიკისთვის

$$t_{ა1} = \frac{GD^2 \cdot n_c}{375(M_{სა} - M_c)} \text{ კგმ.}$$

17. სტატიკური მომენტი დაუტვირთავი ურიკის გადაადგილებისას

$$M_{co} = \frac{F_{co} \cdot D_k}{2 \cdot \eta_o \cdot i} \text{ კგმ.}$$

18. ამუშავების დრო დაუტვირთავი ურიკისათვის

$$t_{ა2} = \frac{GD_o^2 \cdot n_c}{375(M_{სა} - M_{co})} \text{ წმ.}$$

19. დამუხრუჭების მომენტის მნიშვნელობა

$$M_{ღ} \approx 1,2 M_c \text{ კგმ.}$$

20. დამუხრუჭების დრო დატვირთული ურიკისათვის

$$t_{ღ1} = \frac{GD^2 \cdot n_c}{375(M_{ღ} + M_c)} \text{ წმ.}$$

21. დამუხრუჭების დრო დაუტვირთავი ურიკისათვის

$$t_{ღ2} = \frac{GD_o^2 \cdot n_c}{375(M_{ღ} + M_{co})} \text{ წმ.}$$

22. დატვირთული ურიკის გადაადგილების მანძილი ამუშავებისას

$$l_{ა1} = \frac{\pi \cdot D_k \cdot n}{120i} \cdot t_{ა1} = \frac{V}{2} t_{ა1} \text{ მ.}$$

23. დაუტვირთავი ურიკის გადაადგილების მანძილი ამუშავებისას

$$l_{ა2} = \frac{V}{2} t_{ა2} \text{ მ.}$$

24. დატვირთული ურიკის გადაადგილების მანძილი დამუხრუჭებისას

$$l_{ღ1} = \frac{V}{2} t_{ღ1} \text{ მ.}$$

25. დაუტვირთავი ურიკის გადაადგილების მანძილი დამუხრუჭებისას

$$l_{ღ2} = \frac{V}{2} t_{ღ2} \text{ მ.}$$

26. დატვირთული ურიკის გადაადგილების მანძილი დამყარებული სიჩქარით მოძრაობისას

$$l_1 = l - l_{ა1} - l_{ღ1} \text{ მ.}$$

27. დაუტვირთავი ურიკის გადაადგილების მანძილი დამყარებული სიჩქარით მოძრაობისას

$$l_2 = l - l_{ა2} - l_{ღ2} \text{ მ.}$$

28. M_c და M_{co} სტატიკური მომენტების შესაბამისი ძრავას სიჩქარის მნიშვნელობები

$$n_1 = n_o \frac{n_o - n_5}{n_o} \left(\frac{M_c}{M_5} \right) \text{ ბრ/წთ,}$$

$$n_2 = n_o \frac{n_o - n_5}{n_o} \left(\frac{M_{co}}{M_5} \right) \text{ ბრ/წთ.}$$

29. დატვირთული ურიკის გადაადგილების სიჩქარე

$$V_1 = \frac{\pi \cdot D_k \cdot n_1}{60i} \text{ მ/წმ.}$$

30. დაუტვირთავი ურიკის გადაადგილების სიჩქარე

$$V_2 = \frac{\pi \cdot D_k \cdot n_2}{60i} \text{ მ/წმ.}$$


31. დამყარებული სიჩქარით დატვირთული ურიკის გადაადგილების დრო

$$t_1 = \frac{l_1}{V_1} \text{ წმ.}$$

32. დაუტვირთავი ურიკის გადაადგილების დრო

$$t_2 = \frac{l_2}{V_2} \text{ წმ.}$$

33. მიღებული შედეგების საფუძველზე აიგება ძრავას დატვირთვის დიაგრამა (ნახ. 3.2)



ნახ. 3.2

34. ეკვივალენტური მუშა დრო

$$t_{ა.გ.გ.} = t_{ა1} + t_1 + t_{ღ1} + t_{ა2} + t_2 + t_{ღ2} \text{ წმ.}$$

35. პაუზის ეკვივალენტური დრო

$$t_{e,კვ} = t_{o1} + t_{o2} \text{ წმ.}$$

36. ჩართვის ფარდობითი ხანგრძლივობა

$$\varepsilon_{კვ} = \frac{t_{ა,კვ}}{t_{ა,კვ} + t_{o,კვ}} \cdot 100\%$$

37. ძრავას ეკვივალენტური მომენტი

$$M_{კვ} = \sqrt{\frac{M_{სვ}^2 \cdot t_{ა1} + M_c^2 \cdot t_1 + M_{სვ}^2 \cdot t_{ა2} + M_{co}^2 \cdot t_2}{t_{ა,კვ}}} \text{ კგმ.}$$

38. ძრავას მომენტი, გადათვლილი ჩართვის სტანდარტულ ხანგრძლივობაზე

$$M_{ძრ} = M_{კვ} \cdot \sqrt{\frac{\varepsilon_{კვ}}{\varepsilon_{სტ}}} \text{ კგმ.}$$

თუ $M_{ძრ} \leq M_6$, ძრავა შერჩეულია სწორად.

ამწის ურიკის გადაადგილების მექანიზმის საწყისი საანგარიშო მონაცემების რამდენიმე ვარიანტი მოყვანილია 3-3 ცხრილში.

ცხრილი 3-3

ვარიანტი	1	2	3	4	5	6
G_o , ტ	5	10	15	20	30	40
G_6 , ტ	5	10	15	20	30	40
V , მ/წთ	60	55	52	48	45	40
F_c , კგ	600	660	700	800	900	1000
F_{co} , კგ	300	330	350	400	500	600
η	0,87	0,85	0,86	0,83	0,81	0,8
η_0	0,8	0,78	0,77	0,74	0,75	0,73
i	20	18	17	15	13	12
D_k , მ	0,4	0,35	0,4	0,45	0,5	0,6


გაგრძელება

GD_1^2 , კგ·მ ²	0,5	0,6	0,65	0,7	0,75	0,8
s_{o1} , წმ	80	100	110	130	140	150
s_{o2} , წმ	120	150	170	180	190	100
l , მ	60	50	60	70	80	90

3.4. სახარატო ჩარხის მიწოდების მექანიზმის (სუპორტის) ძრავას სიმძლავრის შერჩევა

საწყისი საანგარიშო მონაცემები:

- ჩარხზე დასამუშავებელი დეტალის კონფიგურაცია (ნახ. 3.3) და შესაბამისი ზომები (d_0 მმ; d_1 მმ; d_2 მმ; d_3 მმ; l_1 მმ; l_2 მმ; l_3 მმ).



ნახ. 3.3

- ჭრის სიღრმე t (0,1 ÷ 30) მმ; მიწოდების სიდიდე S (0,1 + 30) მმ/ბრ; საჭრისის მდგრადობა T (50 ÷ 200) წთ; დანაკარგების კოეფიციენტი $a(0,1 + 0,15)$;

- დასამუშავებელი მასალის მახასიათებელი კოეფიციენტები: $C_v(20 ÷ 200)$; $C_F(300)$; $X_v(0,15 ÷ 0,2)$; $X_F(1,0 ÷ 1,2)$; $Y_v(0,3 ÷ 0,8)$; $Y(0,7 ÷ 0,9)$; $m(0,1 ÷ 0,2)$; $n(-(0,15 ÷ 0,2))$.

ანგარიშის მიმდევრობა:

პირველი ოპერაცია (ჩაჭრა d_1 -დან d_0 -მდე) $l = \frac{d_1 - d_0}{2}$.

1. საზური სიჩქარე ჭრის დასაწყისში

$$V_1 = \frac{C_v}{T^m \cdot t^{X_v} \cdot S^{Y_v}} \text{ მ/წთ.}$$

2. შპინდელის სიჩქარე

$$n_{ა31} = \frac{1000 \cdot V_1}{\pi \cdot d_1} \text{ ბრ/წთ.}$$

3. ჭრის ძალა ოპერაციის დასაწყისში

$$F_{z1} = 9,81 \cdot C_F \cdot t^{X_F} \cdot S^{Y_F} \cdot V_1^n \text{ კნ.}$$

4. საზური სიჩქარე ჭრის ბოლოს

$$V_1' = \frac{\pi \cdot d_0 \cdot n_{ა31}}{1000} \text{ მ/წთ.}$$

5. ჭრის ძალა ოპერაციის ბოლოს

$$F_{z1}' = 9,81 \cdot C_F \cdot t^{X_F} \cdot S^{Y_F} \cdot V_1'^n \text{ კნ.}$$

6. შესაბამისი ჭრის სიმძლავრეები

$$P_{z1} = \frac{F_{z1} \cdot V_1}{60 \cdot 1000} \text{ კვტ, } P_{z1}' = \frac{F_{z1}' \cdot V_1'}{60 \cdot 1000} \text{ კვტ.}$$

7. სუპორტის დატვირთვის კოეფიციენტები

$$K_1 = \frac{P_{z1}}{P_z \text{ max}}, \quad K_1' = \frac{P_{z1}'}{P_z \text{ max}}$$

($P_z \text{ max}$ სიდიდე აიღება 3-4 ცხრილის შევსების შემდეგ უდიდესი P_z მნიშვნელობის ტოლი).

8. სუპორტის მქ კოეფიციენტი

$$\eta_1 = \frac{K_1}{1,1K_1 + 0,15}, \quad \eta_1' = \frac{K_1'}{1,1K_1' + 0,15}.$$

9. სუპორტის ძრავას სიმძლავრე

$$P_{ა61} = \frac{P_{z1}}{\eta_1} \text{ კვტ, } P_{ა61}' = \frac{P_{z1}'}{\eta_1'}.$$

10. პირველი ოპერაციის სამანქანო დრო

$$t_{ა1} = \frac{l}{n_{ა31} \cdot S} \text{ წთ.}$$

მეორე ოპერაცია (გრძივი ჭრა l_1 სიგრძეზე):

1. ჭრის პროცესის საზური სიჩქარე

$$V_2 = \frac{C_v}{T^m \cdot t^{X_v} \cdot S^{Y_v}} \text{ მ/წთ.}$$

2. შპინდელის სიჩქარე

$$n_{ა32} = \frac{1000 \cdot V_2}{\pi \cdot d_1} \text{ ბრ/წთ.}$$

3. ჭრის ძალა

$$F_{z2} = 9,81 \cdot C_F \cdot t^{X_F} \cdot S^{Y_F} \cdot V_2^n \text{ კნ.}$$

4. ჭრის სიმძლავრე

$$P_{z2} = \frac{F_{z2} \cdot V_2}{60 \cdot 1000} \text{ კვტ.}$$

5. სუპორტის დატვირთვისა და მქ კოეფიციენტები

$$K_2 = \frac{P_{z2}}{P_z \text{ max}}; \quad \eta_2 = \frac{K_2}{1,1K_2 + 0,15}.$$

6. სუპორტის ძრავას სიმძლავრე

$$P_2 = \frac{P_{z2}}{\eta_2} \text{ კვტ.}$$

დამხმარე ოპერაციების დრო

$$t_0 = 0,3 t_{\text{ბე}} \text{ წმ.}$$

ძრავას უქმი სვლის სიმძლავრე

$$P_0 = a P_z \text{ კვტ.}$$

ჭრის ციკლის საშუალო სიმძლავრე


$$P_{\text{სშ}} = \frac{0,5(P_{\text{დრ1}} - P'_{\text{დრ1}})t_{\text{ბ1}} + P'_{\text{დრ1}} \cdot t_{\text{ბ1}} - 0,5P_{\text{დრ2}} \cdot t_{\text{ბ2}} + 0,5(P_{\text{დრ3}} - P'_{\text{დრ3}})t_{\text{ბ3}} + \dots}{t_{\text{ბ1}} + t_{\text{ბ2}} + \dots + t_0}$$

სუპორტის ძრავას საორიენტაციო სიმძლავრე

$$P_{\text{ს}} = (1,2 \div 1,3) P_{\text{სშ}} \text{ კვტ.}$$

$P_{\text{ს}}$ სიდიდის მიხედვით კატალოგებიდან შეირჩევა შესაბამისი ტიპის ძრავა.

3-4 ცხრილის მონაცემების საფუძველზე აიგება ძრავას დატვირთვის სავარაუდო დიაგრამა (ნახ. 3.4).



ნახ. 3.4

შერჩეული ძრავას შემოწმება გადახურებაზე წარმოებს საშუალო დანაკარგების მეთოდით.

ძრავას მქ კოეფიციენტი

$$\eta_{\text{დრ}} = \frac{1000 P_{\text{ს}}}{I_{\text{ს}} \cdot U_{\text{ს}}}$$

ძრავას ნომინალური დანაკარგები

$$\Delta P_{\text{დრ6}} = P_{\text{ს}} (1 - \eta_{\text{დრ}}) \text{ კვტ.}$$

დანაკარგები თითოეულ ოპერაციაზე

$$\Delta P_i = P_{zi} \left(\frac{1}{\eta_{\text{დრ}}} - 1 \right) \text{ კვტ.}$$

საშუალო დანაკარგები ძრავაში მუშა ციკლის განმავლობაში

$$\Delta P_{\text{სშ}} = \frac{(\Delta P_1 + \Delta P'_1)t_{\text{ბ1}} + \Delta P_2 \cdot t_{\text{ბ2}} + (\Delta P_3 + \Delta P'_3)t_{\text{ბ3}} + \dots + P_0 t_0}{t_{\text{ბ1}} + t_{\text{ბ2}} + \dots + t_{\text{ბi}} + t_0}$$

თუ $P_{\text{სშ}} < \Delta P_{\text{დრ6}}$, ძრავა შერჩეულია სწორად.

სახარატო ჩარხის სუპორტის მიწოდების მექანიზმის საწყისი საანგარიშო მონაცემების რამდენიმე ვარიანტი მოყვანილია 3-5 ცხრილში.

ცხრილი 3-5

ვარიანტი	1	2	3	4	5	6
d_0 , მმ.	10	20	40	50	60	70
d_1 , მმ.	40	60	70	90	120	170
d_2 , მმ.	70	100	130	180	250	320
d_3 , მმ.	150	190	240	320	400	560
l_1 , მმ.	70	80	90	100	80	60
l_2 , მმ.	80	50	40	70	60	30
l_3 , მმ.	100	80	50	70	100	120

3.5. გრძივსარანდი ჩარხის მიწოდების მექანიზმის ძრავას
სიმძლავრის შერჩევა.

საწყისი საანგარიშო მონაცემები:

ჩარხი მუშაობს ერთდროულად ორი საჭრისით.

1. მოსაჭრელი ლითონის ზოლის ფართობი - q მმ²;
2. მაგიდის სრული სვლის სიგრძე - S მ;
3. დასამუშავებელი ნამზადის სიგრძე - L მ;
4. მუშა სვლის სიჩქარე - V_1 მ/წთ;
5. უკუსვლის სიჩქარე - V_2 მ/წთ;
6. ჩარხის მქ კოეფიციენტი მოცემული დატვირთვისას - η_1 ;
7. მქ კოეფიციენტი უქმი სვლისას - η_0 ;
8. კუთრი დაწნევა ლითონის ჭრისას - K_p კგ/მმ²;
9. მქნევარა მომენტის ზრდის კოეფიციენტი - σ ;

ანგარიშის მიმდევრობა:

1. ძალვა საჭრისზე

$$F = 2 \cdot K_p \cdot q \text{ კგ.}$$

2. სიმძლავრე საჭრისზე

$$P_6 = \frac{F \cdot V_1}{102 \cdot 60} \text{ კვტ.}$$

3. ნათალის ჩამოჭრისას ჩარხის სრული სიმძლავრე მქ კოეფიციენტის გათვალისწინებით

$$P_c = \frac{P_6}{\eta_1} \text{ კვტ.}$$

4. დანაკარგები ჩარხში მთლიანი დატვირთვისას

$$\Delta P = P_c - P_6 \text{ კვტ.}$$

5. უქმი სვლის დანაკარგები

$$\Delta P_0 = \eta_0 \Delta P \text{ კვტ.}$$

6. უქმი სვლის დანაკარგები მაგიდის უკუსვლისას

$$\Delta P_{02} = \Delta P_{01} \cdot \frac{V_2}{V_1} \text{ კვტ.}$$

7. ნაანგარიშევი P_0 სიმძლავრის მიხედვით და ΔP_{01} , ΔP_{02} სიდიდეების გათვალისწინებით კატალოგებიდან შეირჩევა შესაბამისი ტიპის და სიმძლავრის ძრავა.

8. ძრავას ნომინალური მომენტი მუშა სვლისას

$$M_{61} = \frac{975 \cdot P_6}{n_6} \text{ კვ მ.}$$

9. ნომინალური მომენტი უკუსვლისას

$$M_{62} = \frac{975 \cdot P_6}{2n_6} \text{ კვ მ.}$$

10. ამუშავების მომენტის სიდიდე

$$M_{s1} = 2M_{61} \text{ კვ მ.}$$

11. უქმი სვლის წინაღობის სტატიკური მომენტი მუშა სვლისას

$$M_{c1} = \frac{975 \cdot \Delta P_{01}}{n_6} \text{ კვ მ.}$$

12. დინამიკური მომენტი აჩქარებისას

$$M_{d1} = M_{s1} - M_{c1} \text{ კვ მ.}$$

13. გაქანების დრო

$$t_1 = \frac{0,00267 \cdot \sigma \cdot CD_{მგ}^2 \cdot n_6}{M_{d1}} \text{ წმ.}$$

14. ძრავას სამუხრუჭო მომენტის მნიშვნელობა მიიღება ამუშავების მომენტის ტოლად

$$M_{\text{ს1}} = M_{\text{ა1}} \text{ კვ.მ.}$$

15. დინამიკური მომენტი დამუხრუჭებისას

$$M_{\text{ღ2}} = M_{\text{ს1}} + M_{\text{ც1}} \text{ კვ.მ.}$$

16. დამუხრუჭების დრო

$$t_2 = \frac{0,00267 \cdot \sigma \cdot CD_{\text{ძრ}}^2 \cdot n_6}{M_{\text{ღ2}}} \text{ წმ.}$$

17. გაქანების პერიოდის ბოლოს და დამუხრუჭების საწყის პერიოდში ძრავას მიერ განვითარებული სიმძლავრეები ერთმანეთის ტოლია:

$$P_A = P_B = \frac{2M_{\text{ს1}} \cdot n_6}{975} \text{ კვტ.}$$

18. მაგიდის მიერ გავლილი მანძილი გაქანებისა და დამუხრუჭების პერიოდებში

$$S_1 = \frac{V_1}{120} (t_1 + t_2) \text{ მ.}$$

19. მანძილის დანარჩენ ნაწილში $S_2 = S - S_1$ მაგიდა მოძრაობს V_1 მუდმივი სიჩქარით და შესაბამისად მაგიდის მოძრაობის დრო დამყარებულ რეჟიმში

$$t_3 = \frac{60 \cdot S_2}{V_1} \text{ წმ.}$$

20. დროის ბოლო მონაკვეთი განისაზღვრება ნამზადის სიგრძის მიხედვით

$$t_4 = \frac{60 \cdot L}{V_1} \text{ წმ.}$$

21. უქმი სვლის დრო დამყარებულ რეჟიმში

$$t_5 = t_3 - t_4 \text{ წმ.}$$

22. მიიღება, რომ ამ დროის ნახევარი ხმარდება გაქანების წინა პერიოდს, მეორე ნახევარი კი დამუხრუჭების წინა პერიოდს

$$t_6 = t_7 = \frac{t_5}{2} \text{ წმ.}$$

23. მუშა სვლის სრული ხანგრძლივობა

$$t_{\text{სრ}} = t_1 + t_6 + t_4 + t_7 + t_2 \text{ წმ.}$$

24. ამუშავების მომენტი მაგიდის უკუსვლაზე გადართვისას

$$M_{\text{ა2}} = 2,5 M_{\text{ს2}} \text{ კვმ.}$$

25. უქმი სვლის მომენტი

$$M_{\text{ც2}} = M_{\text{ც1}} \text{ კვმ.}$$

26. დინამიკური მომენტი

$$M_{\text{ღ3}} = M_{\text{ა2}} - M_{\text{ც2}} \text{ კვმ.}$$

27. გაქანების დრო n_1 სიჩქარიდან n_2 -მდე

$$t_9 = \frac{0,00267 \cdot GD_{\text{ძრ}}^2 \cdot \sigma (n_2 - n_1)}{M_{\text{ღ3}}} \text{ წმ.}$$

28. უკუსვლაზე გაქანების მთლიანი დრო

$$t_{10} = t_8 + t_9 \text{ წმ.}$$

(აქ t_8 ძრავას გაქანების დროა 0-დან n_1 სიჩქარემდე და მიიღება

$$t_8 = 0,5t_9)$$

29. სამუხრუჭო მომენტი უკუსვლის პროცესის დამთავრებისას

$$M_{\text{ს2}} = M_{\text{ა2}} \text{ კვმ.}$$

30. შესაბამისი დინამიკური მომენტი

$$M_{\text{ღ4}} = M_{\text{ს2}} + M_{\text{ც2}} \text{ კვმ.}$$

31. სიჩქარის შემცირების დრო n_2 -დან n_1 მნიშვნელობამდე

$$t_{11} = \frac{0,00267 \cdot GD_{\text{დრ}}^2 \cdot \sigma (n_2 - n_1)}{M_{\text{დ4}}} \text{ წმ.}$$

32. დამუხრუჭების დრო n_1 -დან ნულოვან მნიშვნელობამდე

$$t_{12} = t_2 \text{ წმ.}$$

33. დამუხრუჭების პროცესის მთლიანი დრო n_2 -დან ნულოვან მნიშვნელობამდე

$$t_{13} = t_{11} + t_{12} \text{ წმ.}$$

34. გარდამავალი რეჟიმის ხანგრძლივობა

$$t_8 = t_{10} + t_{13} \text{ წმ.}$$

35. მაგიდის მიერ გავლილი მანძილი გარდამავალ პერიოდში

$$S_3 = \frac{V_2}{2} \cdot t_8 \text{ მ.}$$

36. მაგიდის მიერ გავლილი მანძილი დამყარებული სიჩქარით მოძრაობისას

$$S_4 = S - S_3 \text{ მ.}$$

37. S_4 მანძილის გავლაზე დახარჯული დრო

$$t_{14} = \frac{60 \cdot S_4}{V_2} \text{ წმ.}$$


38. უკუსვლის მთლიანი დრო

$$t_0 = t_8 + t_9 + t_{14} + t_{11} + t_{12} \text{ წმ.}$$

39. მუშა ციკლის მთლიანი დრო

$$T_{\text{ცკ}} = t_{\text{სრ}} + t_0 \text{ წმ.}$$

40. მოყვანილი გაანგარიშებების საფუძველზე აიგება ძრავას დატვირთვის დიაგრამა მუშა ციკლისათვის (ნახ. 3.5).



ნახ. 3.5.

41. დატვირთვის დიაგრამის შესაბამისად ძრავას ეკვივალენტური მომენტი

$$M_{\text{ეკვ}} = \sqrt{\frac{M_{\text{ს1}}^2 \cdot t_1 + M_{\text{ც1}}^2 (t_6 + t_7) + M_{\text{ს1}}^2 \cdot t_4 + M_{\text{ს1}}^2 \cdot t_2 + M_{\text{ც2}}^2 \cdot t_{14} + \left(\frac{M_{\text{ც2}} + M_{\text{ს2}}}{2}\right)^2 \cdot t_{10} + \left(\frac{M_{\text{ც4}} + M_{\text{ს2}}}{2}\right)^2 \cdot t_{13}}{T_{\text{ცკ}}}}$$

თუ $M_{\text{ეკვ}} \leq M_{\text{ს1}}$, ძრავა შერჩეულია სწორად.

გრძელვადიანი ჩარხის მიწოდების მექანიზმის საწყისი საანგარიშო მონაცემების რამდენიმე ვარიანტი მოყვანილია 3-6 ცხრილში.

ცხრილი 3-6

ვარიანტი	1	2	3	4	5	6
q , მმ ²	2x75	2x10	2x12	2x15	2x20	2x25
S , მ.	1,8	2,2	2,3	2,5	2,7	3,0
L , მ.	1,5	1,8	2,0	2,2	2,5	2,7
V_1 , მ/წთ.	12	10	10	8	8	6
V_2 , მ/წთ.	24	20	20	16	16	12
η_1	0,72	0,7	0,73	0,68	0,67	0,65
η	0,75	0,7	0,75	0,72	0,71	0,69
K_p , კგ/მმ ²	160	180	190	200	210	220
δ	1,2	1,1	1,05	1,07	1,03	1,04

3.6. ლენტური კონვეიერის (მეტროპოლიტენის ესკალატორის) ძრავას სიმძლავრის შერჩევა

საწყისი საანგარიშო მონაცემები

1. კონვეიერის მწარმოებლურობა - II, კგ/სთ;
2. კონვეიერის მოძრაობის სიჩქარე - V, მ/წმ;
3. 1მ სიგრძის ლენტის მასა - m_0 , კგ/მ;
4. მომყვან დოლზე ლენტის მოდების კუთხე - α_H^0 ;
5. დამჭიმავ დოლზე ლენტის მოდების კუთხე - α_H^0 ;
6. კონვეიერის მონაკვეთების სიგრძეები

$$l_{1-2}, \text{მ}; l_{3-4}, \text{მ}; l_{5-6}, \text{მ}; l_{7-8}, \text{მ}.$$

7. კონვეიერის მონაკვეთების ჰორიზონტისადმი დახრის კუთხეები


$$\beta^0_{3-4} = \beta^0_{5-6}; \beta^0_{1-2}; \beta_{7-8}.$$

8. დასაშვები აჩქარება $a_{\text{დას}}$, მ/წმ²,

9. ხახუნისა და მოძრაობისადმი წინაღობის კოეფიციენტები

$$\mu; C_{II}; K_{u1}; K_{u2}; K_{u3}; K_{u4}.$$

კონვეიერის მომყვანი სადგურის სიმძლავრის საანგარიშო სქემა და ლენტის დაჭიმულობის ეპიურა მოყვანილია 3.6 ნახ-ზე.



ნახ. 3.6.

ანგარიშის მიმდევრობა:

1. 1მ გადასაადგილებელი ტვირთის მასა

$$m_{\text{ტ}} = \frac{II \cdot 10^3}{3600V} \text{ კგ/მ};$$

2. კონვეიერის უბნების მასები

$$m_{12} = m_0 l_{12}; m_{34} = m_0 l_{34};$$

$$m_{56} = (m_0 + m_{\text{ტ}}) l_{56}; m_{78} = (m_0 + m_{\text{ტ}}) l_{78}.$$

3. საანგარიშო ჯამური მასა

$$m_{\Sigma} = m_{78} + m_{56} \cdot K_{u3} + m_{34} \cdot K_{u3} \cdot K_{u2} + m_{12} \cdot K_{u3} \cdot K_{u2} \cdot K_{u1} \text{ კგ}.$$

4. მოძრაობისადმი წინაღობების ძალები ტრასის წრფივ უბანზე

$$\Delta F_{12} = 98,1l_{12}(C_{II} \cdot \cos \beta_{12} - \sin \beta_{12}) \text{ ნ};$$

$$\Delta F_{34} = 98,1l_{34}(C_{II} \cdot \cos \beta_{34} - \sin \beta_{34}) \text{ ნ};$$

$$\Delta F_{56} = 98,1l_{56}(C_{II} \cdot \cos \beta_{56} + \sin \beta_{56}) \text{ ნ};$$

$$\Delta F_{78} = 98,1l_{78}(C_{II} \cdot \cos \beta_{78} + \sin \beta_{78}) \text{ ნ};$$

5. ჯამური საანგარიშო ძალვა ტრასის წრფივ უბანზე

$$F_{\Sigma} = \Delta F_{78} + F_{56} \cdot K_{u3} + \Delta F_{34} \cdot K_{u3} \cdot K_{u2} + \Delta F_{12} \cdot K_{u3} \cdot K_{u2} \cdot K_{u1} \text{ ნ.}$$

6. ლენტის მინიმალურად დასაშვები დაჭიმულობა ამძრავ დოლიდან დაღმავალ წერტილში

$$T_{\text{დოლი min}} = \frac{F_{\Sigma} + m_{\Sigma} \cdot a_{\text{დას}}}{e^{3,6\mu} - K_{u1} \cdot K_{u2} \cdot K_{u3}} \text{ ნ.}$$

7. ლენტის დასაშვები დაჭიმულობა ამძრავ დოლიდან დაღმავალ წერტილში

$$T_{\text{დოლი}} \approx 1,2 T_{\text{დოლი min}} \text{ ნ.}$$

8. მომყვან დოლზე ლენტის მაქსიმალური დაჭიმულობა აღმავალ წერტილში

$$T_{\text{აღ}} = K_{u4} \cdot T_{\text{დოლი}} + F_{\Sigma} + m_{\Sigma} \cdot a_{\text{დას}} \text{ ნ.}$$

9. კონვეიერის მომყვანი სადგურის სიმძლავრე

$$P_{\text{სდგ}} = 1,2 \frac{T_{\text{აღ}} - T_{\text{დოლი}}}{\eta} \text{ კვტ.}$$

(სადაც η - რედუქტორის მქ კოეფიციენტი და აიღება $\eta = 0,9$).

10. $P_{\text{სდგ}}$ სიდიდის მიხედვით კატალოგებიდან შეირჩევა შესაბამისი სიმძლავრის ძრავა

ლენტური კონვეიერის (მეტროპოლიტენის ესკალატორის) მომყვანი მექანიზმის სიმძლავრის საწყისი საანგარიშო მონაცემების რამდენიმე ვარიანტი მოყვანილია 3-7 ცხრილში:

ცხრილი 3-7

ვარიანტი	1	2	3	4	5	6
II, კვ/სთ.	80	120	150	70	60	90
V, მ/წმ.	0,8	0,6	0,3	0,9	1,0	0,7
m ₀ , კგ/მ.	10	15	25	9	8	12
α_{II}^0	210	220	210	210	200	220
α_H^0	180	170	180	170	190	180
l_{12} , მ.	0,8	1,1	2,4	1,0	1,2	0,9
l_{34} , მ.	80	140	210	90	100	120
l_{56} , მ.	78	120	130	85	90	100
l_{78} , მ.	32	52	30	28	25	40
$\beta_{34}^0 = \beta_{56}^0$	15	120	15	18	25	20
β_{12}^0	-30	-32	-30	-28	-25	-32
β_{78}^0	0	0	0	0	0	0
$a_{\text{დას}}$, მ/წმ ² .	0,4	0,25	0,2	0,5	0,6	0,3
μ	0,1	0,1	0,1	0,1	0,1	0,1
C_{II}	0,025	0,02	0,025	0,027	0,029	0,023
K_{u1}	1,03	1,05	1,03	1,01	1,04	1,07
K_{u2}	1,05	1,06	1,07	1,05	1,08	1,09
K_{u3}	1,02	1,06	1,02	1,04	1,05	1,05
K_{u4}	1,05	1,08	1,05	1,09	1,12	1,1

3.7. როლგანგის ძრავას სიმძლავრის შერჩევა

საწყისი საანგარიშო მონაცემები

1. ნამზადის გლინვის სიგრძე - L , მ;
2. ჭრის მაქსიმალური სიგრძე - L_p , მ;
3. როლგანგის სექციის გორგოლაჭების რიცხვი - Z_p ;
4. ნამზადის მოძრაობის სიჩქარე - V , მ/წმ;
5. გორგოლაჭების ბრუნვის სიჩქარე - n_p , ბრ/წთ;
6. ნამზადის მქნევარა მომენტი - GD_3^2 , კგ.მ²;
7. ჯამური მქნევარა მომენტი - GD_1^2 , კგ.მ²;
8. ლითონის ფარდობითი წონა გორგოლაჭზე - K ;
9. სხმულის წონა - G_{CII} , კგ;
10. გორგოლაჭის წონა - G_p , კგ;
11. გორგოლაჭის ლილვის დიამეტრი - d , მ;
12. რედუქტორის გადაცემათა რიცხვი - i ;
13. რედუქტორის მქ კოეფიციენტი უქმი სვლისას - $\eta_X = \eta_{TP}$;
14. საკისრებში სრიალის ხახუნის კოეფიციენტი - K_c ;
15. ლითონის გორგოლაჭზე ხახუნის კოეფიციენტი - f ;
16. გორგოლაჭის დიამეტრი - d_p , მ;
17. გორგოლაჭის წრეწირის სიგრძე - l , მ;
18. წაბუქსავების ხახუნის კოეფიციენტი - K_B ;
19. ხახუნის ნომინალური კოეფიციენტი - K_H ;

ანგარიშის მიმდევრობა

1. ლითონის საანგარიშო წონა გორგოლაჭზე

$$G_M = KG_{CII} \frac{L_p}{L}, \text{ კგ};$$

2. გორგოლაჭის უქმი სვლის მომენტი

$$M_{XP} = \frac{Z_p \cdot G_p \cdot d \cdot K_C}{2 \cdot i \cdot \eta_X}, \text{ ნმ};$$

3. ძრავას უქმი სვლის მომენტი

$$M_{XD} = 3,9 \cdot M_{XP}, \text{ ნმ};$$

4. უქმი სვლის ჯამური მომენტი

$$M_X = M_{XP} + M_{XD}, \text{ ნმ};$$

5. მომენტი ნამზადის გადაადგილებისას

$$M_{TP} = \frac{G_M \left(\frac{d}{2} \cdot K_C + f \cdot 10^{-2} \right)}{i \cdot \eta_{TP}}, \text{ ნმ};$$

6. მომენტი ლუნვადი ნამზადის გადაადგილებისას

$$M_{D1} = \frac{G_M}{i \cdot \eta_{TP}} \left(0,5 \sqrt{d_p^2 - 4l} - l \cdot K_B \right), \text{ ნმ};$$

7. მომენტი ნამზადის ხახუნის გათავლისწინებით

$$M_{D2} = \frac{G_M \cdot d_p \cdot K_B}{2i \cdot K_H}, \text{ ნმ};$$

8. ჯამური სტატიკური მომენტი

$$M_C = M_X + M_{TP} + M_{D1} + M_{D2}, \text{ ნმ};$$

9. წაბუქსავების მომენტი

$$M_B = \frac{G_M \cdot d_p \cdot K_B}{2i \cdot K_H \cdot \eta_X}, \text{ ნმ};$$

10. წახუქსავების ჯამური მომენტი

$$M_{CB} = M_X + M_B, \text{ ნმ};$$

11. მაქსიმალური მომენტი აჩქარებისას

$$M_{\Pi Y} = GD_1^2 \frac{i \cdot K_B}{2 \cdot d_p} + M_C, \text{ ნმ};$$

12. მაქსიმალური მომენტი შენელებისას

$$M_{\Pi Z} = GD_1^2 \frac{i \cdot K_B}{2 \cdot d_p} - M_C, \text{ ნმ};$$

13. მაქსიმალური სტატიკური მომენტი

$$M_{\Sigma C} = M_C + M_{CB} + \frac{M_{\Pi Y} + M_{\Pi Z}}{2}, \text{ ნმ};$$

14. როლგანგის მომყვანი ძრავას საანგარიშო სიმძლავრე

$$P_{\text{ძრ}} = \frac{M_{\Sigma C} \cdot n_p}{975}, \text{ კვტ};$$

$P_{\text{ძრ}}$ სიდიდის მიხედვით კატალოგებიდან შეირჩევა შესაბამისი სიმძლავრისა და ტიპის ძრავა.

შერჩეული ძრავას შემოწმება გადახურებაზე

1. ამუშავების მომენტი

$$M_{\Pi} = 0,35 M_{\Pi Y}, \text{ ნმ};$$

2. სამუხრუჭო მომენტი

$$M_T = 0,35 M_{\Pi Z}, \text{ ნმ};$$

3. ამუშავების პროცესის ხანგრძლივობა

$$t_{\Pi} = \frac{GD_1^2 \cdot n_{\text{ძრ}}}{375(M_{\Pi} - M_X)}, \text{ წმ};$$

4. დამუხრუჭების პროცესის ხანგრძლივობა

$$t_T = \frac{GD_1^2 \cdot n_{\text{ძრ}}}{375(M_{\Pi} + M_X)}, \text{ წმ};$$

5. ნამზადის ტრანსპორტირების ხანგრძლივობა

$$t_{TP} = \frac{L}{V}, \text{ წმ};$$


6. უქმი სვლის რეჟიმის ხანგრძლივობა

$$t_{X1} = t_{X2} = 0,5 t_{TP}, \text{ წმ};$$

7. გატარებების მიხედვით ლითონის ტრანსპორტირების დროები დამყარებულ რეჟიმში

$$t_{01} = t_{TP}; t_{02} = 1,3 t_{TP}; t_{03} = 1,7 t_{TP}; t_{04} = 2,1 t_{TP}.$$

8. მიღებული საანგარიშო მონაცემების საფუძველზე აიგება როლგანგის ელექტროამპრავის დატვირთვის დიაგრამა (ნახ. 3.7).



ნახ. 3.7

9. ძრავას ეკვივალენტური მომენტი

$$M_{\text{ეკვ}} = \sqrt{\frac{M_{\Pi}^2 (\Sigma t_{\Pi}) + M_T^2 (\Sigma t_T) + M_{CB}^2 (t_{X1} + t_{X2}) + M_C^2 (\Sigma t_{0i})}{0,9 (\Sigma t_{\Pi} + \Sigma t_T) + \Sigma t_{0i}}},$$

10. ეკვივალენტური სიმძლავრე

$$P_{\text{აბ}} = \frac{M_{\text{აბ}} \cdot \omega_{\text{აბ}}}{i}, \text{ კვტ;}$$

თუ $P_{\text{აბ}} \geq P_{\text{აბ}}$, მაშინ ძრავა შერჩეულია სწორად.

როლგანგის საწყისი საანგარიშო მონაცემების რამდენიმე ვარიანტი მოყვანილია 3-8 ცხრილში

ცხრილი 3-8

ვარიანტი	1	2	3	4	5	6
$L, \text{ მ.}$	10	12	14	16	18	20
$L_p, \text{ მ.}$	0,8	0,9	1,0	1,2	1,5	2,0
Z_p	10	10	10	10	10	10
$V, \text{ მ/წთ.}$	2,6	2,5	2,4	2,2	2,1	2,0
$n_p, \text{ ბრ/წთ.}$	150	120	130	120	110	100
$GD_3^2, \text{ კგ. მ}^2$	15	18	20	15	25	30
$GD_1^2, \text{ კგ. მ}^2$	40	45	50	62	65	70
K	0,8	0,7	0,8	0,75	0,82	0,85
$G_{\text{CII}}, \text{ კგ}$	4000	5000	6000	3200	4500	7000
$G_p, \text{ კგ}$	2000	2500	3000	800	1200	2000
$d, \text{ მ}$	0,27	0,25	0,26	0,13	0,17	0,18
i	4,5	5,1	6,2	4,5	5,5	5,2
$\eta_X = \eta_{TP}$	0,65	0,51	0,6	0,48	0,45	0,4
K_C	0,007	0,005	0,003	0,002	0,006	0,003
f	0,15	0,17	0,2	0,13	0,15	0,18
$d_p, \text{ მ}$	0,5	0,45	0,4	0,35	0,38	0,47
$\ell, \text{ მ}$	0,15	0,18	0,17	0,15	0,16	0,19
K_B	0,3	0,25	0,27	0,3	0,31	0,28
K_H	0,3	0,4	0,5	0,3	0,4	0,6

3.8. სამგზავრო ლიფტის ძრავას სიმძლავრის შერჩევა

საწყისი საანგარიშო მონაცემები

1. სართულების რაოდენობა - h ;
2. კაბინის გადაადგილების მაქსიმალური სიდიდე - $H, \text{ მ}$;
3. კაბინის გადაადგილების სიჩქარე - $V, \text{ მ/წმ}$;
4. ლიფტის ტვირთამწეობა - $Q, \text{ კგ}$;
5. კაბინის წონა - $K, \text{ კგ}$;
6. საპირწონეს წონა - $G_1, \text{ კგ}$;
7. საწვევი ბაგირების წონა - $G_2, \text{ კგ}$;
8. გამათანასწორებელი ბაგირების წონა - $G_3, \text{ კგ}$;
9. კაბელის წონა - $G_4, \text{ კგ}$;
10. ამძრავის დოლის დიამეტრი - $D, \text{ მ}$;
11. აჩქარების მაქსიმალური სიდიდე - $\alpha_3, \text{ მ/წმ}^2$;
12. აჩქარების საშუალო სიდიდე - $\alpha_1, \text{ მ/წმ}^2$;
13. კაბინის გადატვირთვის კოეფიციენტი - K_0 ;
14. მქნევარა მასების კოეფიციენტი - K_w ;
15. სახუნის კოეფიციენტი მიმმართველებში - K_a ;
16. კაბინის სავარაუდო გაჩერებათა რიცხვი - n ;
17. კაბინის სართულზე დგომის დრო - $t_0, \text{ წმ}$;

ანგარიშის მიმდევრობა:

ძრავას სიმძლავრის ანგარიში მიმდინარეობს დატვირთული და ცარიელი კაბინისათვის:

1. გაუწონასწორებელი წონა მთლიანად დატვირთული კაბინისათვის

ა) ქვედა მდგომარეობაში (მოძრაობის შემდგომი მიმართულება - ზემოთ)

$$F_1 = 9,8(K + Q - G_1 - G_2 - G_3), \text{ ნ;}$$

ბ) ზედა მდგომარეობაში (მოძრაობის შემდგომი მიმართულება - ქვემოთ)

$$F_2 = 9,8(K + Q - G_1 - G_2 + G_3 + G_4), \text{ ნ;}$$

2. ცარიელი კაბინისათვის

ა) ქვედა მდგომარეობაში

$$F_3 = 9,8(K - G_1 - G_3 + G_4), \text{ ნ;}$$

ბ) ზედა მდგომარეობაში

$$F_4 = 9,8(K - G_1 - G_2 - G_3 + G_4), \text{ ნ;}$$

3. ელექტროამძრავის დინამიკური დატვირთვები

ა) დატვირთული კაბინისათვის

$$F_{\text{ღ}} = \pm \frac{K_u \cdot a_3}{9,8} (K + Q + G_1 + G_2 + G_3 + G_4), \text{ ნ;}$$

ბ) ცარიელი კაბინისათვის

$$F_{\text{ღ0}} = \pm \frac{K_u \cdot a_0}{9,8} (K + G_1 + G_2 + G_3 + G_4), \text{ ნ;}$$

4. სტატიკური დატვირთვები დატვირთული კაბინისათვის

ა) ქვედა მდგომარეობაში

$$F_{C1} = F_1 + K_a F_1, \text{ ნ;}$$

ბ) ზედა მდგომარეობაში

$$F_{C2} = F_2 - K_a F_2, \text{ ნ;}$$

5. ცარიელი კაბინისათვის

ა) ქვედა მდგომარეობაში

$$F_{C3} = -F_3 + K_a F_3, \text{ ნ;}$$

ბ) ზედა მდგომარეობაში

$$F_C = -F_4 - K_a F_4, \text{ ნ;}$$

6. ჯამური დატვირთვა ძრავას ლილვზე კაბინის გადაადგილებისას (იანვარიშება ორივე მდგომარეობაში ცარიელი და დატვირთული კაბინისათვის)

$$F_i = F_{ci} + F_{\text{ღ}}, \text{ ნ;}$$

7. შესაბამისი მომენტები ძრავას ლილვზე

$$M_i = F_i \frac{D}{2}, \text{ ნმ;}$$

8. დატვირთვა ძრავას ლილვზე კაბინის დგომისას ბაქანზე

ა) დატვირთული კაბინისათვის

$$F_{01} = K_0 F_1, \text{ ნ;}$$

ბ) ცარიელი კაბინისათვის

$$F_{02} = K_0 F_2, \text{ ნ;}$$

9) ანვარიშის შედეგების საფუძველზე შეივსება ცხრილი 3-9

ილენასი ილენასი	დატვირთული კაბინა				ცარიეული კაბინა				ქვევით				
	ზევით		ქვევით		ზევით		ქვევით		ზევით		ქვევით		
F_{c1}	F_{c1}	F_{c1}	F_{c1}	F_{c1}	F_{c1}	F_{c1}	F_{c1}	F_{c1}	F_{c1}	F_{c1}	F_{c1}	F_{c1}	F_{c1}
F_{e0}	F_{e0}	F_{e0}	F_{e0}	F_{e0}	F_{e0}	F_{e0}	F_{e0}	F_{e0}	F_{e0}	F_{e0}	F_{e0}	F_{e0}	F_{e0}
F_{s0}	F_{s0}	F_{s0}	F_{s0}	F_{s0}	F_{s0}	F_{s0}	F_{s0}	F_{s0}	F_{s0}	F_{s0}	F_{s0}	F_{s0}	F_{s0}
M_{s0}	M_{s0}	M_{s0}	M_{s0}	M_{s0}	M_{s0}	M_{s0}	M_{s0}	M_{s0}	M_{s0}	M_{s0}	M_{s0}	M_{s0}	M_{s0}
M_{e0}	M_{e0}	M_{e0}	M_{e0}	M_{e0}	M_{e0}	M_{e0}	M_{e0}	M_{e0}	M_{e0}	M_{e0}	M_{e0}	M_{e0}	M_{e0}
M_{s1}	M_{s1}	M_{s1}	M_{s1}	M_{s1}	M_{s1}	M_{s1}	M_{s1}	M_{s1}	M_{s1}	M_{s1}	M_{s1}	M_{s1}	M_{s1}
M_{e1}	M_{e1}	M_{e1}	M_{e1}	M_{e1}	M_{e1}	M_{e1}	M_{e1}	M_{e1}	M_{e1}	M_{e1}	M_{e1}	M_{e1}	M_{e1}
M_{s2}	M_{s2}	M_{s2}	M_{s2}	M_{s2}	M_{s2}	M_{s2}	M_{s2}	M_{s2}	M_{s2}	M_{s2}	M_{s2}	M_{s2}	M_{s2}
M_{e2}	M_{e2}	M_{e2}	M_{e2}	M_{e2}	M_{e2}	M_{e2}	M_{e2}	M_{e2}	M_{e2}	M_{e2}	M_{e2}	M_{e2}	M_{e2}
M_{s3}	M_{s3}	M_{s3}	M_{s3}	M_{s3}	M_{s3}	M_{s3}	M_{s3}	M_{s3}	M_{s3}	M_{s3}	M_{s3}	M_{s3}	M_{s3}
M_{e3}	M_{e3}	M_{e3}	M_{e3}	M_{e3}	M_{e3}	M_{e3}	M_{e3}	M_{e3}	M_{e3}	M_{e3}	M_{e3}	M_{e3}	M_{e3}

10. კაბინის აჩქარების (შენელების) დრო

$$t_s = t_a = \frac{V}{a_b}, \text{ წმ};$$


11. ლიფტის დამყარებულ რეჟიმში მოძრაობის დრო

$$t_e = \frac{H - a_b \cdot t_s^2 \cdot (n-1)}{V}, \text{ წმ};$$

12. ლიფტის მუშა ციკლის ხანგრძლივობა

$$T_c = 2t_e + 2t_s \cdot 2(n-1) + 2t_0(n-1), \text{ წმ};$$

13. საანგარიშო მონაცემების საფუძველზე აიგება ძრავას დატვირთვის დიაგრამა (ნახ. 3.8)



ნახ. 3.8

14. ძრავას ეკვივალენტური მომენტი

$$M_{\text{ეკვ}} = \sqrt{\frac{[4 \cdot M_0^2 + 2M_{\text{ლზ}}^2 + 2M_{\text{ლქ}}^2 + 5 \cdot M_{\text{სზ}}^2 + 5 \cdot M_{\text{სქ}}^2 + 5 \cdot M_{\text{აზ}}^2 + 5 \cdot M_{\text{აქ}}^2 + (M'_{\text{სზ}} + M'_{\text{სზ}})(M'_0 + M'_{\text{ლზ}}) + (M'_{\text{სქ}} + M'_{\text{სქ}})(M'_0 + M'_{\text{ლქ}})] \cdot T_0 \frac{h-1}{3} + [1,5(M_{\text{ლზ}} + M_{\text{ლქ}})(M'_{\text{ლზ}} + M'_{\text{ლქ}}) \cdot t_{\text{ლ}} + 3M_0^2 \cdot t_0] \cdot 2(n-1)}{3T_0}}, \text{ მძ};$$

15. სიჩქარე მექანიზმის მომეგან ლილვზე

$$n_{\text{ლ}} = \frac{60 \cdot V}{\pi \cdot D}, \text{ ბრ/წთ};$$

16. ლიფტის ძრავას საორიენტაციო სიმძლავრე

$$P_{\text{ძრ}} = \frac{M_{\text{ეკვ}} \cdot n_{\text{ლ}}}{9550}, \text{ კვტ.}$$

$P_{\text{ძრ}}$ სილიდის მიხედვით კატალოგებიდან შეირჩევა შესაბამისი სიმძლავრისა და ტიპის ძრავა.

ლიფტის საწყისი საანგარიშო მონაცემების რამდენიმე ვარიანტი მოყვანილია 3-10 ცხრილში.

ცხრილი 3-10

ვარიანტი	1	2	3	4	5	6
h	15	20	25	30	35	40
$H, \text{ მ}$	56	80	110	200	230	260
$V, \text{ მ/წმ}$	2,0	2,5	3,5	3,7	3,8	4,0
$Q, \text{ კგ}$	1200	1300	1500	1600	1750	1900
$K, \text{ კგ}$	2000	2200	2500	2700	3000	3200
$G_1, \text{ კგ}$	2350	2500	2800	3000	3200	3500
$G_2, \text{ კგ}$	380	400	450	520	590	630
$G_3, \text{ კგ}$	230	280	330	370	390	420
$G_4, \text{ კგ}$	180	200	230	250	290	330
$D, \text{ მ}$	0,65	0,75	0,83	0,87	0,91	0,95
$a_{\text{ფ}}, \text{ მ/წმ}^2$	2,0	2,2	2,3	2,4	2,5	2,6
$a_{\text{პ}}, \text{ მ/წმ}^2$	1,3	1,6	1,8	1,85	1,9	2,0
K_0	2,9	3,1	3,2	3,3	3,5	3,7
K_u	0,7	0,75	0,8	0,85	0,9	0,95
K_a	0,68	0,72	0,7	0,72	0,75	0,8
n	5	7	8	10	12	15
$t_0, \text{ წმ}$	8	8	9	9	10	10

3.9. ექსკავატორის ციკზვის აწევის მექანიზმის ძრავას სიმძლავრის შერჩევა

საწყისი საანგარიშო მონაცემები

1. ციკზვის ტევადობა - V , მ³;
2. ქანის ხვედრითი წონა - γ , ტ/მ³;
3. სანგრევის სიმაღლე - h , მ;
4. გაფხვიერების კოეფიციენტი - b ;
5. მუშა ციკლის ხანგრძლივობა - T_{σ} , წმ;
6. ქანის ხვედრითი წინაღობა - K , კგ/სმ²;
7. მექანიზმის მქ კოეფიციენტი - η ;
8. ჯალამბრის დოლის რადიუსი - R , მ;
9. რელუქტორის გადაცემათა რიცხვი - i ;

ანგარიშის მიმდევრობა

1. ქანის მასა ავსებულ ციკზში

$$G = \gamma \cdot V, \text{ ტ};$$

2. ციკზვის მასა

$$G_1 = 0,9G, \text{ ტ};$$

3. ისრის მასა

$$G_2 = 0,6G, \text{ ტ};$$

4. ასაწევი ნაწილების ჯამური მასა

$$G_0 = G + G_2, \text{ ტ};$$

5. მოჭრილი ნათალის ფართი

$$S = \frac{V \cdot 10^3}{h \cdot b}, \text{ სმ}^2;$$

6. ჭრის ძალა ქანის მოჭრისას

$$F_1 = K \cdot S \cdot 10^{-3}, \text{ ტ};$$

7. ჯამური დატვირთვა ციკზზე

$$G_{\Sigma} = G + G_0 + F_1, \text{ ტ};$$

8. ქანის ჭრის ხანგრძლივობა

$$t_2 = 0,3T_{\sigma}, \text{ წმ};$$

9. ელექტროამძრავის ჩართვის ხანგრძლივობა

$$\varepsilon = \frac{t_2}{T_{\sigma}} \cdot 100\%;$$

10. ციკზვის აწევის სიჩქარე

$$v = \frac{h}{t_2}, \text{ მ/წმ};$$

11. ციკზვის აწევის მექანიზმის ძრავას საორიენტაციო სიმძლავრე

$$P_1 = \frac{G_{\Sigma} \cdot v \cdot 10^3}{102 \cdot \eta}, \text{ კვტ};$$

12. ძრავას სიმძლავრის გადაანგარიშება სტანდარტული ჩართვის ხანგრძლივობაზე

$$P_{\text{ძრ}} = P_1 \cdot \sqrt{\frac{\varepsilon}{\varepsilon_{\text{სტ}}}}, \text{ კვტ};$$

$P_{\text{ძრ}}$ სიდიდის მიხედვით კატალოგებიდან შერჩევა შესაბამისი სიმძლავრისა და ტიპის ძრავა.

ექსკავატორის ციკზვის აწევის მექანიზმის ელექტროამძრავის დატვირთვის დიაგრამის აგება

1. ძრავას მომენტი ქანის მოჭრისას

$$M_2 = \frac{G_{\Sigma} \cdot R}{i \cdot \eta}, \text{ ნმ};$$

2. ძრავას მომენტი ციკხვის დაჭერისას აწეულ მდგომარეობაში

$$M_4 = \frac{(G + G_1 + G_2) \cdot R}{i \cdot \eta}, \text{ ნმ};$$

3. ძრავას მომენტი მობრუნებისას ცარიელი ციკხვით

$$M_7 = \frac{(G_1 + 0,5G_2) \cdot R \cdot \eta}{i}, \text{ ნმ};$$

4. ძრავას ამუშავების მომენტი

$$M_1 = 1,8 \cdot M_2, \text{ ნმ};$$

5. ძრავას მომენტი რევერსირებისას

$$M_3 = 1,2 \cdot M_2, \text{ ნმ};$$

6. ციკხვის დაჭერის მომენტი განტვირთვისას

$$M_5 = M_7, \text{ ნმ};$$

7. მობრუნების პაუზის მომენტი

$$M_6 = M_2, \text{ ნმ};$$

8. მუდმივი სიჩქარით მოძრაობის მომენტი

$$M_8 = 1,5 \cdot M_2, \text{ ნმ};$$

9. პლატფორმის მობრუნების ხანგრძლივობა ცარიელი ციკხვით

$$t_7 = 0,2T_0, \text{ წმ};$$

10. ძრავას გაქანების ხანგრძლივობა ციკხვის ქანთან შეხებამდე

$$t_1 = 0,04T_0, \text{ წმ};$$

11. ძრავას რევერსის ხანგრძლივობა ციკხვის ქანიდან გამოსვლამდე

$$t_3 = 0,04T_0, \text{ წმ};$$

12. პლატფორმის მობრუნების ხანგრძლივობა სავსე ციკხვით

$$t_4 = 0,24T_0, \text{ წმ};$$


13. ციკხვის დაცლის ხანგრძლივობა

$$t_5 = 0,1T_0, \text{ წმ};$$

14. ექსკავატორის მობრუნებით გამოწვეული პაუზების დრო

$$t_6 = t_8 = t_1, \text{ წმ};$$

ანგარიშის შედეგების საფუძველზე აიგება ძრავას დატვირთვის დიაგრამა (ნახ. 3.9)



ნახ. 3.9

15. ძრავას ეკვივალენტური მომენტი

$$M_{\text{ეკვ}} = \sqrt{\frac{M_1^2 t_1 + M_2^2 t_2 + M_3^2 t_3 + M_4^2 t_4 + M_5^2 t_5 + M_6^2 t_6 + M_7^2 t_7 + M_8^2 t_8}{T_{\text{ე}}}} \text{ მმ};$$

16. შერჩეული ძრავას ნომინალური მომენტი

$$M_{\text{ნ}} = \frac{975 \cdot P_{\text{ე}}}{n_{\text{ე}}},$$

თუ $M_{\text{ეკვ}} \leq M_{\text{ნ}}$, ძრავა შერჩეულია სწორად.

ექსკავატორის საწყისი საანგარიშო მონაცემების რამდენიმე ვარიანტი მოყვანილია 3-11 ცხრილში:

ცხრილი 3-11

ვარიანტი	1	2	3	4	5	6
$V, \text{მ}^3;$	0,1	0,2	0,4	0,8	1,2	1,6
$\gamma, \text{ტ/მ}^3;$	1,2	1,4	1,6	1,8	1,7	1,5
$h, \text{მ};$	2,0	3,0	2,5	4,0	6,0	7,0
$b;$	1,5	1,4	1,3	1,2	1,0	0,8
$T_{\text{ე}}, \text{წმ};$	80	100	120	110	120	150
$K, \text{კგ/სმ}^2;$	0,8	0,9	1,0	1,1	1,2	1,3
$\eta;$	0,87	0,86	0,85	0,84	0,83	0,8
$R, \text{მ};$	0,6	0,7	0,9	1,0	1,1	1,2
$i;$	20	22	21	18	20	22

3.10. წყლის საქანი ტუმბოს ძრავას სიმბლავრის შერჩევა ✓

საწყისი საანგარიშო მონაცემები

1. ტუმბოს მწარმოებლურობა - $Q, \text{მ}^3/\text{სთ};$
2. ჭავლის მიწოდების სიმაღლე - $H, \text{მ};$
3. მაგისტრალის სიგრძე - $L, \text{მ};$
4. მილის დიამეტრი - $d, \text{მმ};$
5. მილის განიკვეთი - $S, \text{მ}^2;$
6. მილის მასალის კოეფიციენტი - $a;$
7. მილის მომრგვალების მასასიათებელი კოეფიციენტი - $\beta;$

კოეფიციენტი

8. ტუმბოს მქ კოეფიციენტი - $\eta;$

ანგარიშის მიმდევრობა:

მაგისტრალზე დაყენებულია ოთხი მუხლი, ორი ვენტილი და ორი საკეტელა.

1. წყალსაქან მილში წყლის ჭავლის სიჩქარე

$$V = \frac{Q}{3600 \cdot S}, \text{ მ/წმ}$$

2. წნევის დანაკარგები მაგისტრალში

$$\Delta H_1 = a(1100 \cdot V^{1,75} / d^{1,25}) \cdot L, \text{ მ},$$

3. წნევის დანაკარგები მუხლებში

$$\Delta H_2 = 4 \cdot \beta \frac{V^2}{2g}, \text{ მ};$$

სადაც $g=9,81$.

4. ორი ვენტისთვის $\beta_1 = 0,49$, მაშინ

$$\Delta H_3 = 2\beta_1 \frac{V^2}{2g}, \text{ მ};$$

5. ორი საკეტელასთვის $\beta_2 = 0,063$, მაშინ

$$\Delta H_4 = 2\beta_2 \frac{V^2}{2g}$$

(მილის მომრგვალების β კოეფიციენტების მნიშვნელობები მუხლებს, ვენტილების და საკეტელების სხვადასხვა რაოდენობისთვის მოიძებნება შესაბამის ცნობარებში).

6. წნევის ჯამური დანაკარგები

$$\Delta H = \Delta H_1 + \Delta H_2 + \Delta H_3 + \Delta H_4, \text{ მ};$$

7. ტუმბოს ძრავას სიმძლავრე

$$P_{\text{ძრ}} = \frac{Q\gamma \cdot (H + \Delta H)}{3600 \cdot 102 \cdot \eta}, \text{ კვტ};$$

სადაც $\gamma = 10^3$ კგ/მ³, 1 მ³ მოცულობის წყლის სვედრიითი წონაა.

$P_{\text{ძრ}}$ სიდიდის მიხედვით კატალოგებიდან შეირჩევა შესაბამისი სიმძლავრის და ტიპის ძრავა.

ტუმბოს საწყისი საანგარიშო მონაცემების რამდენიმე ვარიანტი მოყვანილია 3-12 ცხრილში:

ცხრილი 3-12

ვარიანტი	1	2	3	4	5	6
$Q, \text{ მ}^3/\text{სთ};$	30	40	50	60	70	80
$H, \text{ მ};$	35	45	60	70	80	100
$l, \text{ მ};$	700	850	1000	1200	1500	1750
$d, \text{ მმ};$	100	120	135	150	175	190
$S, \text{ მ}^2;$	0,013	0,0138	0,0143	0,015	0,016	0,017
$a \cdot 10^{-3};$	0,7	0,72	0,75	0,8	0,85	0,92
$\beta;$	0,13	0,138	0,158	0,21	0,29	0,68
$\eta;$	0,8	0,82	0,78	0,76	0,81	0,83

3.11. საშახტე ამწის ძრავას სიმძლავრის შეირჩევა

საწყისი საანგარიშო მონაცემები

- შახტის სიღრმე - $H, \text{ მ};$
- სასარგებლო ტვირთის სიმძიმის ძალა - $G, \text{ კნ};$
- თითოეული გალის სიმძიმის ძალა - $G_1, \text{ კნ};$
- გალზე მოსული ვაგონეტის სიმძიმის ძალა - $G_2, \text{ კნ};$
- მთავარი და მათანაბრებელი ბაგირების სიმძიმის ჯამური ძალა 1 მ სიგრძეზე - $G_3, \text{ კნ};$
- ხახუნის გორგოლაჭის დიამეტრი - $d_1, \text{ მ};$
- ხახუნის გორგოლაჭის სიმძიმის ძალა - $G_4, \text{ კნ};$
- მიმმართველი ბორბლების დიამეტრი - $d_2, \text{ მ};$
- თითოეული მიმმართველი ბორბლის სიმძიმის ძალა - $G_5, \text{ კნ};$
- ამწის ნომინალური სიჩქარე - $V_6, \text{ მ/წმ};$
- აჩქარება გალის აწევისას - $a, \text{ მ/წმ}^2;$
